სამი მატჩი იუგოსლავიაში

გვესაუბრება თბილისის “დინამოს” ფეხბურთლთა გუნდის უფროსი კ. ასათიანი

– მოსტარის საერთაშორისო ტურნირს, რომელშიც ახლახან მონაწილეობა მიიღო თბილისის “დინამომ”, კარგა ხნის ტრადიცია აქვს – 17 წელია იმართება და მის წარმომადგენლობითობაზე მეტყველებს თუნდაც ის, რომ 1976 წელს ამ გარდამავალი თასის ფინალში იბრძოდნენ სსრ კავშირის ნაკრები და ცნობილი იუგოსლავიური გუნდი – “ცრვენა ზვეზდა”. მატჩი საბჭოთა ფეხბურთლების გამარჯვებით დამთავრდა. ცხადია, ამით ტურნირის პერსტიჟი საკმაოდ ამაღლდა და შემდგომ მასში უცხოეთის არაერთი გუნდი გამოსულა.

ამჯერად კი შეჯიბრებაში 4 გუნდი ჩაება: ადგილობრივი “ველეჟი”, ბელგრადის “პარტიზანი”, ტიტოგრადის “ბუდუჩნოსტი” და თბილისის “დინამო”. პირველ მატჩში, რომელიც “ველეჟის” მრავალათასიან სტადიონზე გაიმართა, ერთმანეთს შეხვდნენ “ველეჟი” და “ბუდუჩნოსტი”. როცა თამაშისთვის განკუთვნილი დრო ამოიწურა, ანგარიში იყო 2:2. ამის გამო დაინიშნა 11–მეტრიანი დარტყმების სერია, რის წყალობითაც გამარჯვება (6:5) მასპინძლებს ხვდათ და ამით “ველეჟმა” ფინალისკენ გაიკაფა გზა. მეორე ფინალისტი “დინამოსა” და “პარტიზანის” შეხვედრას უნდა გამოევლინა. თბილისელმა ფეხბურთელებმა, რომელთა რიგებში იყვნენ გაბელია, კოსტავა, ხიზანიშვილი, ხინჩაგაშვილი, თავაძე, დარასელია. ჯოხაძე (სვანაძე მე–60 წ.), ჟვანია (მუჯირი 46–ე წ.), გუცაევი, ყიფიანი, შენგელია, შესანიშნავად ითმაშეს და გაიმარჯვეს ანგარიშით – 1:0. ეს გადამწყვეტი გოლი გაიტანა შენგელიამ, რომელიც ყიფიანმა შესანიშნავი გადაცემით გაიყვანა კარის წინ.

8 თებერვალს ტურნირის მონაწილეთა დელეგაციები ეწვივნენ “პარტიზანული დიდების მემორიალს” და გვირგვინებით შეამკეს დაღუპულ გმირთა საფლავები. ამავე დღეს შედგა მატჩი მესამე ადგილის გამოსავლენად ”პარტიზანსა” და “ბუდუჩნოსტს” შორის. 90 წუთი ისე ამოიწურა, ანგარიში არ გახსნილა, დამატებით პენალტების სერიაში კი “პარტიზანმა” იმარჯვა – 3:2.

და აი, ტურნირის მთვარი მატჩი თბილისის “დინამოსა” და “ველეჟს” შორის. ამ შეხვედრისადმი ინტერესს ისიც ზრდიდა, რომ მასპინძელთა ცენტრალური თავდამსხმელის ხალიხოჯიჩის (ეს სახელი მსოფლიოს საფეხბურთო წრეებში საკმაოდაა ცნობილი. იგი ამას წინათ გფრ–ში გამართულ მატჩში მსოფლიოს ვარსკვლავთა ნაკრების ღირსებას იცავდა) შესასყიდად მოსტარს სპეციალურად ეწვივნენ დასავლეთ გერმანიის ცნობილი კლუბის “შტუტგარტის” მენეჯერები და ხალიხოჯიჩი ალბათ ამიტომაც დიდი აღმავლობით თამაშობდა. ეს პირველ რიგში იმაში გამოიხატა, რომ ორივე ბურთი ჩვენს კარში (თამაში დამთავრდა ანგარიშით 2:1 მასპინძელთა სასარგებლოდ) სწორედ მან გაიტანა. ანგარიში 11–მეტრიანი დარტყმით გაიხსნა, რომელიც ხალიხოჯიჩმა ჩვენს კარში გაიტანა. უნდა ითქვას, რომ მსაჯის ეს გადაწყვეტილება საკმაოდ საეჭვოდ გვეჩვენა. გოლს სულ რამდენიმე წუთის შემდეგ ყიფიანის შესანიშნავი რეიდი მოჰყვა. მის მიერ მეტოქის საჯარიმოზე ჩაკიდებულ ბურთს ნახტომში მიწვდა თავაძე და თავით “ველეჟის” ბადეში მოათავსა. ამის შემდეგ ყიფიანმა ერთხელ კიდევ აიღო მასპინძელთა კარი, მაგრამ მსაჯის სასტვენი გოლს დუმილით შეხვდა. ამ საინტერესო და დაძაბულ ორთაბრძოლას წერტილი ისევ ხალიხოჯიჩმა დაუსვა. ეს მას შემდეგ მოხდა, როდესაც ?–წუთზე ჩვენს კარში საჯარიმო დაინიშნა. მისი

შესრულება ცენტრფორვარდს დაევალა, რომლის დარტყმა დინამოელთა ერთ–ერთ მცველს მოხვდა, ბურთმა იცვალა მიმართულება და კარში აღმოჩნდა. 2:1 – გაიმარჯვა "ველეჟმა". "დინამო" მეორე ადგილზე გავიდა. ამ მატჩში თბილისელთა ღირსებას იცავდნენ: გაბელია, კოსტავა, ხიზანიშვილი, ხონჩაგაშვილი, მუჯირი, დარასელია, თავაძე, სვანაძე (ჯოხაძე), გუცაევი, ყიფიანი, შენგელია.

"დინამო" ქ. მოსტარიდან სპლიტში დაბრუნდა, სადაც 10 თებერვალს ამხანაგური შეხვედრა გამართა თბილისელთა ძმადნაფიც ქალაქ ლიუბლიანის "ოლიმპიასთან". ეს გუნდი, რომელიც ამ რამდენიმე წლის წინათ თბილისში მორიდებული მაჩვენებლებით წარსდგა, ახლა საკმაოდ მომძლავრებულა და თავისი ეროვნული ჩემპიონატის ლიდერთა შორის არის. მასთან შეხვედრაში გამარჯვება "დინამოს" დარჩა – 1:0. ბურთი გაიტანა შენგელიამ. დინამოელთა შორის იყვნენ: გაბელია, კოსტავა, ხიზანიშვილი, ხინჩაგაშვილი, მუჯირი, დარასელია, თავაძე, ჯოხაზე (ჩქარეული) გუცაევი, ყიფიანი, შენგელია.

"ლელო", 14 თებერვალი, 1981 წ.